

ბერი,
კომუნიკაცია
სადაც კომის

შინაარსი

პროლოგი.....

თავი პირველი
ღუთერის ადრეული ცხოვრება

თავი მეორე
ძიება

თავი მესამე
რომთან კომფლიქტი

თავი მეოთხე
მშვიდობა და დაპირისპირება

თავი მესუთე
მეუღლე და ოჯახი

თავი მეექვსე
დარიგება ეკლესიისადმი

თავი მეშვიდე
ღუთერანული სწავლების
გამჭირვალობა

ეპილოგი

სამახსოვრო სახელები, თარიღები,
ადგილები და ტერმინები

ბერი, რომელმაც სძლია რომს

პროლოგი (სიტყვები იმის შესახებ რაც მანამ მოხდა სანამ ლუთერი ცხოვრობდა)

რა მოხდა ახალი აღთქმის ეპოქიდან 1517 წლის რეფორმაციამდე.

როდესაც ქრისტიანები სწავლობენ საქმე მოციქულთა წიგნს და მოციქულ პავლეს წერილებს ბიბლიაში ისინი ხედავენ ეკლესიის სურათს, რომელიც არსებობდა ეკლესიის ისტორიის პირველ ასწლეუში. ასევე, როდესაც ქრისტიანები სწავლობენ მარტინ ლუთერის ცხოვრებას, და პოულობენ თუ რას გავდა მის ცხოვრება, ისინი პოულობენ თუ რამდენი ცუდი რამ ხდებოდა. როგორ შემოიჭრა ეს ცუდი რამეები ეკლესიაში? სწორედ ამ მიზეზით, სახარებლო იქნება სწრაფად შევისწავლოდ ის, თუ როგორ შეიცვალა ეკლესია 1400 წლის განმავლობაში, ახალი აღთქმის პერიოდსა და ლუთერის დროს შორის.

იმ დროისათვის, როდესაც ბოლო მოციქული იოანე გარდაიცვალა (დაახლოებით 100 წელს) ზღვის პირა დიდ ქალაქებში არსებობდა ქრისტიანული საკრებულოები. ასევე ქრისტიანობა გავრცელდა ქვეყნის შიგა ნაწილებშიც. ასე წლის შემდეგ ქრისტიანობა გავრცელდებოდა იყო მრავალ ქვეყანაში. 400 წლისათვის რომაული სამყაროს საზოგადოება ქრისტიანი გახდა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რამ, რისი დანახვაც შეგვიძლია ეკლესიის ზრდის პროცესში იყო ის, რომ ქრისტიანული ეკლესია გახდა ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც უკვე კანონი ადარ კრძალავდა. დაახლოებით 300 წლის განმავლობაში რომის მმართველობა არ თვლიდა ქრისტიანულ ეკლესიას, როგორც კანონით დაშვებულს ან ლეგალურს. მაგრამ 312 წელს რომის იმპერატორმა რომლის სახელია კონსტანტინე, ქრისტიანობა გამოაცხადდა სახელმწიფო რელიგიად. ის უშუალოდ აღიარებდა იესო ქრისტეს და სწამდა მისი. ამ ახლებულმა მშვიდობამ გარკვეულად სასიკეთო შედეგი გამოიღო ეკლესიისათვის: 1) ახლა უკვე თავისუფლად შეიძლება სახარების გავრცელება; 2) ქრისტიანებს შეეძლოთ აქტიურად ჩართულიყვნენ სამთავრობო თუ სამოქალაქო საქმიანობაში. მეორეს მხრივ ეკლესიას არ შეეძლო შესაფერის დონეზე შესულიყო ამა თუ იმ საზოგადოებაში და ესწავლებინა. ამის შედეგად, როდესაც სხვა და სხვა კულტურის თუ შეხედულების მქონე პირთგან უერთდებოდა ეკლესიას მათ თან შემოჰქონდათ თავიანთი ტრადიციები და შეხედულებები. ხალხის სხვა ჯგუფი კი იმისათვის ხდებოდნენ ეკლესიის ნაწილი, რომ ამით ესიაშვილებინათ იმპერატორისათვის. ზოგი კი იმისათვის ხდებოდა ქრისტიანი, რომ ფიქრობდნენ ეს ძალიან სარგისი იქნებოდა მათი ყოველდღიური ცხოვრებისათვის და ბიზნესისათვის. ასევე იყო ხალხის ის კატეგორია, ვინც ფიქრობდა, რომ ქრისტიანობა გააუმჯობესებდა ყოველდღიურ ცხოვრებას. იმისათვის, რომ ვინმე ეკლესიის წევრი გამხდარიყო, ძალიან ბევრი არასწორი მიზეზი იყო გამოყენებული. ამასთანავე იმპერატორს თუ მმართველს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ეკლესიაში, რაც მიზეზი იყო უამრავი საჩუქრებისა თუ დონორებისა. ამის სანაცვლოდ მმართველობი ფიქრობდნენ, რომ უფლება აქვთ უკარნახონ ეკლესიას თუ რა უნდა გააკეთოს და საით წარმართოს მისი პოლიტიკა. როდესაც საკრებულოები გამრავლდა, იძულებული გახდნენ თავჯანისცემის და მსახურებისას დაეცვათ ესა თუ ის წესრიგი თუ თანმიმდევრობა.

მეხუთე საუკუნისათვის მოხდა ევროპის რუკის შეცვლა. გერმანიის არმია და ხალხის ჯგუფი,

რომელნიც ბარბაროსებად იყვნენ ცნობილნი, შეიჭრნენ ევროპის ნაწილში. ზემოთ ხსენებული ჯარები შეიჭრნენ რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ქრისტიანები იყვნენ. ზოგი ამათგანი იყო არიანელი (რომელთაც არ სწმდათ, რომ იესო იყო მარადიული ღმერთი). ის ხალხები, რომელნიც 800 წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ ხმელთაშუა ზღვის გასწვრივ და ერთმანეთთან კავშირი ჰქონდათ ბერძნულ-რომაული კულტურით დაშორდნენ ერთმანეთს. ადარ არსებობდა ის ენა, რომელსაც ისინი ოდესღაც გებულობდნენ და ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთში. მეშვიდე საუკუნეში, ისლამის დაბადებამ (მუსლიმანური რელიგიისა, რომელიც წარმოიშვა მუჰამედისაგან) გაანადგურა რომის იმპერიის აღმოსავლეთი (ამ დროისათვის მას ბიზანტიის იმპერია ეწოდებოდა); ასევე განადგურდა ქრისტიანული სადღესამწიკო ჩრდილოეთ აფრიკაში, ეგვიპტეში, პალესტინაში და მცირე აზიაში.

ის ადრეული ქრისტიანული საკრებულოები, რომელიც დაწყებული იყო პავლე მოციქულის და სხვათა მიერ, ზემოთ ხსენებული ჯარების ამ ქვეყნებში შესვლის შემდეგ განადგურებული იქნა. ასევე დოქტრინალური პრობლემების გამთ მობდა მრავალი ეკლესიის შესუსტება. ქალაქ რომში არსებული ქრისტიანული ეკლესია კი ძლიერი და მტკიცე რჩებოდა. როდესაც რომის პოლიტიკური სისტემა დაირღვა, რამაც გამოიწვია იტალიის შექმნა, რომის ეპისკოპოსი წინა პლანზე გამოვიდა და შექმნა ძლიერი და სანდომიანი მთავრობა. მეექვსე საუკუნისათვის რომის ეპისკოპოსი გახდა სრულიად დასავლეთ ეკლესიის წინამძღოლი და წარმოადგენელი.

ადრეული დევნის დროს მრავალი ქრისტიანი იმის გამო, რომ ისინი თავიანთი მხსნელის იესო ქრისტეს ერთგულნი რჩებოდნენ, იქნა მოკლული და ტანჯული. ეს წამებულნი (ხალხი, რომელნიც რაიმე მიზეზის გამო სწირავენ საკუთარ სიცოცხლეს, მოცემულ შემთხვევაში კი ქრისტეს მიმდევრობისათვის) სხვა ხალხს მიერ მოისაზრებოდნენ, როგორც განსაკუთრებულად წმინდებად. როდესაც დევნა დასრულდა, ეკლესია გახდა ლეგალური და გამდიდრდა. ამის შემდეგ ცალკეული ხალხი წავიდა უდაბნოში, რათა ეცხოვრათ ღოცვითა და მონანიებით. ისინი ფიქრობდნენ, რომ ასეთი სახით მათ შეეძლება იცხოვრონ უწმინდესი ცხოვრებით, იქნებოან რა განმორებულნი ქვეყნიერებისაგან და ყოველდღიური განსაცდელისაგან. მოკლე ხნის შემდეგ ეს ბერები (პირთვნება, ვინც განცალკევებით ცხოვრობდა) დაჯგუფდნენ და გადაწყვიტნენ ეცხოვრად მონასტერში. მეთხუთსე საუკუნიდან მოყოლებული ეს მოძრაობა სწრაფად ძლიერდებოდა. ათიათასობით ბერი ცხოვრობდა უდაბნოში და მთებზე ხმელთაშუა ზღვის რეგიონში. მონასტერის საწყისი დანიშნულება იყო, როგორც საღოცავი ადგილი. მომდევნო პერიოდში მონასტერი ასრულებდა საეკლესიო მსახურებას. ისინი ეხმარებოდნენ მოგზაურთ, დატაკ და ავადმყოფ ხალხს. ასევე მონასტერი გახდა განათლების და სწავლულობის ცენტრი. ევროპაში არსებული მონასტრები პასუხისმგებელი იყვნენ ბერძნულ, რომაულ და სხვა ადრეული ქრისტიანული ხელნაწერების დაცვისათვის.

მას შემდეგ, რაც რომის იმპერია დაინგრა, მასთან ერთად დაეცა განათლების დონეც. გერმანელები და გოთიკები ბარბაროსები (უხეში და უკულტურო ხალხი) ცხოვრობდნენ იმით, რაც ეპოვებოდათ და აუცილებლად არ თვლიდნენ განათლებას ან მწიგნობრობას. ამის შედეგად ევროპაში ძალიან დაბალი განათლების დონე იყო. ეკლესია რამდენადაც ეს მას ხელეწიფებოდა ამზადებდა წინამძღოლებს. ასევე ეკლესიის წინამძღოლთა განათლების დონე ძალიან დაბალი იყო. მონასტრები გარკვეულ დონეზე ეწოდნენ საგანმანათლებლო მოღვაწეობას. ეს ნაკლებად განათლებული მწვემსები ვერ ასწავლიდნენ მრევლს ისე, როგორც შეეფერებოდა. ამის შედეგად ამ

ქვეყნიური შეხედულებები და ცრუ რწმენა შეიჭრა ეკლესიაში. ეკლესიის წევრებს არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდათ ბიბლიაზე და მის მოძღვრებაზე. მათ ძალიან სწამდათ ამა თუ იმ ცერემონიებისა და რიტუალების შესრულების.

ამ დროისათვის ევროპაში მრავალი ხალხი აწარმოებდა ხორბალს და სხვა და სხვა კვების პროდუქტებს, რათა შეძლებოდათ ოჯახის შენახვა. რამოდენიმე ხანში დადგა ახალი ეკონომიური და სოციალური სისტემა, რომელსაც ფეოდალიზმი ეწოდება. ფერმერები და მისი ოჯახები იძულებულნი გახდნენ დახმარებოდნენ ადგილობრივ ძლიერ პიროვნებას (ბატონს) რომელიც აკონტროლებდა ამა თუ იმ რეგიონის დიდ ნაწილს. ბატონები აღჭურავდნენ რაინდებს, რომელნიც თავის მხრივ პასუხისმგებელი იყვნენ დაეცვათ თავიანთი ბატონის ქონება და ასევე მათ მიწრავლობაში მყოფი ფერმერები. ბატონთა ჯგუფი გაერთიანდა იმისათვის, რათა ემსახურათ თავადისთვის. თავადები დახმარებას უწევდნენ მეფეებს. ეკლესიები და მონასტრები ძალიან ხშირად დებულბოდნენ საჩუქრებს, რომელთაც ფერმერები გასცემდნენ. ამის შედეგად ეკლესიის თავები (ეპისკოპოსოები) და მონასტრის ხელმძღვანელები (აბატები) ხდებოდნენ ბატონები. ძალიან ხშირად ეკლესიის ეს ხელმძღვანელები ძალიან ბევრს ზრუნავდნენ თავიანთი ნაკვეთების დასაცავად, ვიდრე ეკლესიისათვის. იმის გამო, რომ ეკლესიის ღიადერები იყვნენ მდიდარი და გავლენიანი, ყველა ცდილობდა ამ თანამდებობის დაკავებას. ძალიან მაღე დაიწყეს ამ თანამდებობის გაყიდვა იმ ხალხზე, ვინც მეტ თანხას გადაიხდიდა.

მეთერთმეტე საუკუნიდან მეცამეტე საუკუნის ჩათვლით დასავლეთ ევროპის ქრისტიანებმა განახორციელეს, მრავალი სამხედრო სვლა (წმინდა ომი), რომელიც ისტორიაში ცნობილია, როგორც ჯვაროსნული ბრძოლები პალესტინაში. მეტწილად ეს ბრძოლები უმოდა მიწის გასათავისუფლებლად და მუსლიმანური მმართველობიდან უკან დასაბრუნებლად და ქრისტიანული მმართველობის აღსადგენად წარუმატებელი გამოდგა. მრავალმა ჯვაროსანმა უკან დაბრუნებისას შუა აღმოსავლეთის შესახებ ახალი იდეები ჩამოიტანა. მათ ჩამოიტანეს უამრავი წიგნები რომაული და ბერძნული ეპოქიდან. ევროპის მრავალი მაცხოვრებელი გამდიდრდა ამ დროისათვის, ქალაქები იზრდებოდა და ვაჭრობა კი ვითარდებოდა. ეს ყველაფერი წინ უძღვოდა კულტურის ხელახლადშობას და საგანმანათლებლო ეტაპს, რომელსაც რენესანსი ეწოდება. ამ განახლებამ ხელი შეუწყო უნივერსიტეტების დაფუძნებას მთელს ევროპაში. ისწავლებოდა ბერძნული და რომაული ხელოვნება, არქიტექტურა (შენობები) და ლიტერატურა (ხელნაწერი წიგნები). ამ ყოველივემ წარმოქმნა ახალი სწავლული ადამიანები, რომელთაც ჰქონდათ ახლებური შეხედულება ბიბლიისა და ეკლესიის მიმართ.

მრავალმა ამ სწავლულთაგან დაინახეს, რომ ეკლესია გახდა რაღაც განსხვავებული იმასთან შედარებით, რაც იყო დასაწყისში. ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ ეს განსხვავება:

1. სუივერული და წარმართული ან არაქრისტიანული აზროვნება აირია ქრისტიანულ მოძღვრებაში. წმიდა სამებისადმი თაყვანისცემა არეული იქნა წმინდანებისადმი (წმიდა ხალხისადმი) და მათ ნაწილებისადმი პატივისცემაში.
2. ქრისტეში რწმენის აუცილებლობა დაიკარგა. სამაგიეროდ ქრისტიანები ფიქრობდნენ, რომ მათ შეუძლიათ დაიმსახურონ მარადიული ცხოვრება კეთილი საქმეებით, ქრისტიანული რიტუალებითა და ცერემონიებით და საიდუმლოებში მონაწილეობით.
3. ეკლესიის ხელმძღვანელებმა ეკლესიას ჩამოართვეს ქრისტიანული თავისუფლება. ეკლესიის მდიდარი ხელმძღვანელების უმთავრეს ინტერესს

წარმოადგენდა მათი ქონების და მდგომარეობის უსაფრთხოება ღმერთის ხალხის მსახურებისა სწავლების ნაცვლად. ისინი იყენებდნენ ტრადიციებს (საეკლესიო კრებების სწავლებას) რათა დაეცვათ ის, რასაც ისინი აკეთებდნენ მიუხედავად იმისა, რომ წმიდა წერილი (ბიბლია) მხარს არ უჭერს იმას, რასაც ისინი აკეთებდნენ.

4. ეკლესიის ხელმძღვანელებმა და მრევლმა ძალიან მცირე რამ იცოდა ღვთიური უწყების შესახებ, რაც ბიბლიაშია წარმოდგენილი. იმის გამო, რომ არ იყვნენ განსწავლული ბიბლიური ქრისტიანული მოძღვრებით, მათ არ იცოდნენ თუ როგორ ეცხოვრათ ქრისტიანული ცხოვრებით.

1400 წელს, ახალი აღთქმის და ლუთერის ეპოქას შორის ეკლესია სრულიად შეიცვალა. მეტად აღარ იქადაგებოდა კეთილი უწყება იმის შესახებ, რომ ღმერთმა წარმოგზავნა მისი ძე იესო ქრისტე, როგორც სრული გადასახადი ქვეყნიერების ცოდვისათვის. ამის ნაცვლად ქრისტიანებს ასწავლიდნენ, რომ თუ კეთილი ცხოვრებით იცხოვრებენ, დაემორჩილებიან ეკლესიას და მის წინამძღოლს, და თუ მიიღებს მონაწილეობას მრავალ საეკლესიო ცერემონიებში, საბოლოოდ მოხვდებიან ზეცაში. იმისათვის, რომ დაბრუნებულიყო ბიბლიური მოძღვრება ღმერთისა და მისი ხსნის გეგმის შესახებ, ღმერთმა წარმოგზავნა მარტინ ლუთერი.

თავი პირველი ღუთერის ადრეული ცხოვრება

რამდენჯერ მოგვისმენია ღუთერის სახელის შესახებ წერილობით ან სიტყვიერად. სახელი ღუთერი არის როგორც საყოველთაო შეხედულება უნივერსიტეტის, სადაზღვევო კომპანიის და ასევე პიროვნების, როგორცაა მარტინ ღუთერ კინგი უმცროსი. ძალიან ცოტა ხალხი გეზულობს მარტინ ღუთერის პირვანდელ საოცარ აზრებს და წერილისმიერ სწავლებას. ჩვენ, ვინც ეკლესიას ვარქმევთ მის სახელს გვაქვს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მეტი ვისწავლოთ ამ რწმენის მამაცი გმირის შესახებ, ბერისა, ვინც თავისი კალმით და ხმით ჩაერთო ბრძოლაში რომის კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ და გახდა ბიბლიიდან ღუთერანული სწავლების მამა.

ეისლებენი

როდესაც ვცდილობთ გამოვიკვლიოთ ღუთერის წინაპრები ან მამა-პაპა, ისტორიიდან ბევრს ვერ ვგეზულობთ მისი ოჯახის შესახებ, ვინც მასზე ადრე ცხოვრობდა. არანაირი ინფორმაცია არ არსებობს. ღუთერმა ვერასდროს ვერ მოიცალა იმისათვის, რომ დაეწერა საკუთარი ავტობიოგრაფია (ამბავი საკუთარი ცხოვრების შესახებ). როგორც შედეგი, ინფორმაცია, რომელიც გვაქვს მისი ადრეული ცხოვრების შესახებ არის იქედან, რაც სხვებმა დაწერეს და თქვეს.

ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ღუთერის წინაპრები ცხოვრობდნენ ერთ-ერთი გერმანული ქალაქის ეისლებენის მახლობლად. ჩვეულებრივი მოვლენა იყო ის, რომ უმცროსი შვილი ებუღებოდა მშობლების გარდაცვალების შემდეგ მამულებს. ასეთი სახით მამა ეხმარებოდა უფროს შვილს ოჯახის დაფუძნებაში. მშობლების გარდაცვალების შემდეგ, რაც კი რჩებოდა გადაადიოდა უმცროსი შვილის მფლობელობაში.

ღუთერის მამა პანსი იყო ჰეინის და მარგარიტ ღუდერის უფროსი შვილი. ე.წ. სვეებერტი წიგნში ღუთერი და მისი ეპოქა წერს, რომ ღუთერის სახელის დაწერა მრავალი სახით გვხვდება ისტორიაში. "ღუდჰერი, ღუდერი, ღუთერი და ღაუთერი, და თითოეულ ამ გვარს ჩვენ მივყევართ ძველ გერმანულ გვართან ჩლოტართან. მოკლედ მას შემდეგ, რაც მან იქორწინა მის მეუღლეზე მარგარიტზე, ღუთერის მამა პანსი გადავიდა საცხოვრებლად ეისლებენში, რათა დაეწყო სამთო ბიზნესი. ამ დროს 10 ნოემბერს 1483 წელს ოჯახში დაიბადა ვაჟი. ამ დროის ადათის თანახმად ყრმა მთინათლა მეორე დღესვე ეს დღე იყო წმიდა მარტინის დღე, აქედან გამომდინარე პატარა ღუთერს დაარქვეს სახელი მარტინი.

მანსფელდი

ერთ წელიც არ იყო გასული მარტინის დაბადებიდან, როდესაც მშობლები გადავიდნენ საცხოვრებლად მანსფელდში. ეს ქალაქი არჩეული იქნა იმის გამო, რომ ახლოს იყო სპილენძის საბადოს ცენტრთან. პირველი წლები იყო ბრძოლა. ყველა ძალიან მძიმედ მუშაობდა. ღუთერი თავად არის იმის მოწმე, თუ როგორ ზიდავდა თავისი მხრებით დედამისი შეშას ღუმელისათვის. ეს იყო გაუსაძლისი შრომა, მაგრამ იმ დროის ქალბატონებისათვის ეს მისაღები იყო.

ასევე ამ დროისათვის საკმაოდ გავრცელებული იყო აღზრდის მკაცრი წესები. ღუთერი აღნიშნავს, რომ ერთხელ დედამისმა თხილის მოპარვის გამო ისეთნაირად სცემა, რომ სისხლის დენა აუტყდა. სხვა დროს მარტინი მამისმა იმ დონეზე სცემა, რომ ის სახლიდან გაიქცა.

არა მარტო ღუთერის სახლი იყო დისციპლინის ადგილი. მოგვიანებით ღუთერმა თქვა, რომ მისი მუხიკისადმი სიყვარული გადმოეცა დედამისისაგან, რომელიც რეგულარულად მდებოდა ბავშვებთან ერთად.

ახალგაზრდა მარტინის მშობლები ძალიან ამაყი იყვნენ ამის გამო. მასში ისინი ხედავდნენ განსაკუთრებულ ტალანტს, რაც მომავალში გამოყენებული იქნება დმურთის ეკლესიაში. ეს იყო ლუთერის მშობლების სასიყვარულო იმედი, რომ ის გახდებოდა ბრწყინვალე და ინტელექტუალური იურისტი.

მიუხედავად იმისა, რომ იმდროისათვის ნორმალურ სასკოლო ახაკს წარმოადგენდა შვიდი წელი, არსებობს იმის მოწმობა, რომ მარტინ ლუთერმა სკოლაში შევიდა მაშინ, როდესაც ის ოთხი წლისა და ექვსი თვის იყო. ის მამამისს ან ოჯახის ახლო მეგობრებს სკოლაში უნდა წაეყვანათ სხვა და სხვა დროს, როდესაც ცუდი ამინდები და გზებიც ცუდ მდგომარეობაში იყო. მანსფელდის სკოლაში ასწავლიდნენ იმ საგნებს, რასაც თვლიდნენ, რომ აუცილებელი იყო მათთვის, ვისაც გადაწყვეტილი ჰქონდა უმაღლესი განათლების მიღება. ამ საგნებს შორის იყო ლათინური გრამატიკა, წერა და კითხვა. ასევე ბავშვებს ზეპირად, ლათინურ ენაზე უნდა ესწავლათ რამოდენიმე ლოცვა, ცოდვათა აღიარება, მთავრულთა რწმენის სიმბოლო, უფლის ლოცვა და ათი მცნება. მას შემდეგ, როდესაც სტუდენტები სრულწლოვნები ხდებოდნენ ზეპირად უნდა ესწავლათ ფსალმუნები და ეს ყოველივე ლათინურ ენაზე. ასევე ძირითადს წარმოადგენდა რომაულ-კათოლიკური სწავლება, ეს იყო ცენტრალური ნაწილი იმისა, რასაც ასწავლიდნენ ახალგაზრდა სტუდენტებს.

დისციპლინა აქ იმაზედ მკაცრი იყო, ვიდრე ოჯახში. ლათინური ფორმების არასწორად დაზეპირებისათვის ან სკოლაში გერმანულ ენაზე საუბრისათვის ყმაწვილი მის სახელთან ერთად დებულობდა ნიშანს, რომელიც დაფაზე იწერებოდა. შემდეგ კვირაში ერთხელ სკოლის ხელმძღვანელი აჯამებდა ამ ნიშნებს და ასეთი სახით ის დებულობდა გადაწყვეტილებას, თუ როგორ დაესაჯა მოზარდი. ლუთერმა ასეთნაირად მიიღო 15 დარტყმა. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ის კარგი მოსწავლე იყო. სხვა სახის სასჯელი იყო მათი საყოველთაო შერცხვენა ან სააშკარაოზე გამოყვანა. სტუდენტი, რომელიც წარუმატებელი იყო ზეპირსიტყვიერებაში, მას უნდა დაედა კისერზე ხის ვირი, ასევე ესეც დაფაზე იწერებოდა და ხდებოდა მათი ჩანიშნა.

მაგდებურგი

14 წლის ლუთერმა დატოვა ოჯახი და სასწავლებლად მაგდებურგში გადავიდა, ეს იყო საკმაო სიდიდის ქალაქი, სადაც იმ დროისათვის დაახლოებით 12000 კაცი ცხოვრობდა. საყოველთაოდ იყო მიღებული, რომ პირთვნება, როდესაც უნივერსიტეტში ჩააბარებდა მას უნდა გაეკლო რამოდენიმე საყოველთაოდ ცნობილი სკოლა, და სწორედ მაგდებურგის სკოლა იყო კარგად ცნობილი საგანმანათლებლო დაწესებულება. ამ სკოლაში ასევე სწავლობდა მარტინ ლუთერის მეგობარი ჯონ რეინკი.

ამ საგანმანათლებლო პერიოდის შესახებ ცოტა რამ შეიძლება ითქვას. აქ მნიშვნელოვანია ორი მოვლენის აღნიშვნა. ახალგაზრდა ლუთერი შეხვდა ერთ ჯგუფს, რომელთაც ეწოდებოდათ საყოველთაო სიცოცხლის ძმები. ეს მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ აღნიშნული რელიგიური ჯგუფი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბიბლიის კითხვასა და ლოცვას. ამ ჯგუფის წევრები ცხოვრობდნენ კარგი და სამაგალითო ცხოვრებით, ისინი კარგი ნიმუში იყვნენ სხვებისათვის. ისინი ემორჩილებოდნენ ბიბლიის მოძღვრებას და ცხოვრობდნენ უბრალოდ, მაგრამ კეთილსინდისიერი ან დვითური და პატიოსანი ცხოვრებით.

მეორე, რაც აღნიშვნის ღირსია, მადლობის ღირსია ეს ჯგუფი იმისათვის, რომ ლუთერმა ბიბლია პირველად აქ წაბა. ამასთანავე მან ძალიან კარგად იცოდა რომაულ-კათოლიკური მოძღვრება, ყველაფერი ის, რაც მან ისწავლა ზეპირსიტყვიერებით და ლექციებით.

ახალგაზრდა სტუდენტებს ყოველთვის არა ჰქონდათ იმის საშუალება, რომ წაეკითხათ ასეთი ძვირადღირებული წიგნები. სწორედ ამ მიზეზით წიგნები საკითხავ სტენდებზე იყო მიჯაჭვული. ისინი ძალიან ძვირფასი იყო იმისათვის, რომ აორთქლებულიყვნენ, მოპარული ყოფილიყო.

ეისენახი მაგდებურგში ერთწლიანი სწავლის შემდეგ ლუთერმა შეიცვალა სკოლა. ამ დროისათვის ის გადავიდა ეისენახში. აქ ის სწავლობდა სამი წლის განმავლობაში ვატბურგის საკათედრო ტაძრის მახლობლად, რასაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლუთერის ცხოვრებაში. ლუთერის თანამშრომელი მელანქტონი აღნიშნავს, რომ ეისენახში იყო ორი კარგი პროფესორი: ჯონ ტრებონიუსი და ვიგანდ გუელდენაფ აუს ფრიტცლარი. ლუთერი მათ ემადლიერება მათი უნარისათვის. ტრებონიუსს შეგონების ნიჭისათვის, რამაც ჩადო ლუთერში განათლების სიყვარული.

ცალკეული ძველი გადმოცემები მოგვითხრობენ იმის შესახებ, თუ როგორ ითხოვდა ლუთერი საკვებს ეისენახში ყოფნის დროს. ეს გადმოცემები არ უნდა გავიგოთ არასწორად. იმ დროისათვის სტუდენტებისათვის ქუნაში მათხოვრობა დაშვებული იყო. ეს დაშვებული იყო, თუნდაც იმ სტუდენტებისათვის, ვისაც მდიდარი მშობლები ჰყავდა. ლუთერის მამა მდიდარი არ იყო, მაგრამ ის წარმატებული მეშახტე გახდა. ლუთერს არ ესაჭიროებოდა ლუკმა პურისათვის მათხოვრობა.

ლუთერი ძალიან ხშირად უერთდებოდა ქუნაში მომდერად ჯგუფებს. ეს ახალგაზრდები დებულობდნენ შემღწიერებლობებს ქუნაში მყოფი ხალხისაგან. სწორედ ასეთი სიმღერების დროს ლუთერი შეამჩნია ერთი მდიდარი ბიზნესმენის მეუღლემ ურსულა კოტტამ. მან მოიპატიჟა ის, რათა დარჩენილიყო სახლში. ის გაკვეთილებს უტარებდა ჰეინრიხ შნეიბლს და ვახშობითაც იქ ვახშობდა. ამ ოჯახებთან ურთიერთობამ და კავშირმა განავითარა მასში კეთილგანწყობა კულტურის, პოეზიისა და მუსიკის მიმართ. რელიგიური დამოკიდებულება, რომელიც მის ოჯახში დაიწყო განახლდა მაგდებურგელი საყრველთაო ცხოვრების ძმების ღოცვის მეშვეობით და ის უფრო გაძლიერდა ეისენახელი ქრისტიანების მიერ.

ერფურტი 1501 წელს ის იყო 18 წლის ახალგაზრდა კაცი, როდესაც ის ერფურტის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. ის დარეგისტრირდა ასეთი სახით: მარტინ ლუდჰერი მანსფელდიდან. ამ უნივერსიტეტში იყო სამი ფაკულტეტი: კანონი, ქრისტიანული მოძღვრება და მედიცინა. ძალიან დიდი ხნის წინათ ლუთერის მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ მარტინ ლუთერი უნდა გამხდარიყო იურისტი. აქედან გამომდინარე მანს ლუთერი თვლიდა, რომ მარტინი უნდა წასულიყო იმ უნივერსიტეტში, რომელსაც კარგი რეპუტაცია ჰქონდა თავისუფალ ხელოვნებას და კანონმცოდნეობაში. ეს სკოლა იყო ერფურტის უნივერსიტეტი. 18 თვეში მან დაასრულა თავისუფალი ხელოვნების კურსი. ის 57 სტუდენტიდან 30-ე იყო. მაშინვე მან დაიწყო სწავლა მაგისტრის ხარისხის მისაღებად და მან ეს კურსი ორი წლის შემდეგ დაასრულა. 17 სტუდენტიდან ის აქ მეორე იყო.

ასევე უნდა ავღნიშნოთ, რომ ჩანაწერები იმ სტუდენტური საცხოვრებლის შესახებ, სადაც მარტინი ცხოვრობდა განადგურებულია, მაგრამ ასეთი სტუდენტური საცხოვრებლების შინაგანაწესი ყველგან ერთი და იგივე იყო. სტუდენტებს უკვე უნდა ძინებოდათ საღამოს 8 საათზე და უნდა ამდგარიყვნენ დილით 4 საათზე. ეს მათ საშუალებას აძლევდა გამოეყენებინათ რაც შეიძლება მეტი დღის სინათლე. ასევე არსებობდა შინაგანაწესი მათი ჩაცმულობის შესახებ, როგორც

სტუდენტურ საერთო საცხოვრებელსათვის, ასევე ქუჩაში გასასვლელად. წვეულებებისას ხდებოდა ბიბლიის წაკითხვა. გოგონებს საერთო საცხოვრებელში შესვლის უფლება არა ჰქონდათ. ასეთი შეხვედრები ნებადართული იყო მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როგორცაა ქორწინება.

იმისათვის, რომ ერფურტის უნივერსიტეტიდან ხარისხი მიეღო სტუდენტს, მას უნდა ჰყოლოდა ხელმძღვანელი მასწავლებელი. მხოლოდ მათი განაცხადი იყო მიღებული, ვისი მოწონებაც მოხდებოდა კონსულტანტების მიერ. კურსდამთავრებული ვაღდებული იყო არა მარტო იმისათვის, რომ კარგი განათლება ჰქონოდა, არამედ ასევე უნდა ეცხოვრა სანიმუშო ცხოვრებით. ლუთერის მოკლე დროში გამოშვება მოწმობდა იმას, რომ ის იყო მონდომებული და ერთგული სტუდენტი.

მაგრამ, როდესაც გვგონია გარეგნულ ცხოვრებაში ყველაფერი კარგად იყო, მის შიგნით განსხვავებული მდგომარეობა იყო. მარტინის მონდომებულია სწავლამ და სურვილმა იდუმალებით მოიცვა მასში არსებული გაურკვევლობის გრძნობა.